# ნიანგი

11

გამოცემის 54-ე წელი, (№ 1501). ივნისი. 1977. ფასი 20 კაპიკი.



ნახ. ბ. აბაშიძისა

— ახლა კი დამშვიდებული ვარ: ჩემი ტყუპის ცალების წყალობით დღეს ქორწილსაც დავესწრები, ქელეხსაც და იუბილესაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რა არის ეს, ლანგეტია, თუ კატლეტი?! სულ კურის გემო აქვს!
— თუ კურის გემო აქვს, ბატონო, ნამდვილად კატლეტია! ლანგეტს ლანჩის გემო დაკრავს!

# გაყოფა

გაგიგიათ ფულიანი ადგილი? თანამდებობა? საქმე? სკამი?

ჰაი, ჰაი, რომ გაგიგიათ!

ფულიანი სახელი თუ გაგიგიათ?

ვისაც არ გაუგია, შევეცდები, განვუმარტო:

ფულიანი სახელი ფულიანი ადგილის, თანამდებობის, საქმისა და სკამის ორგანული სინთეზია, ამ ორ სიტყვაში ფულის შოვნის პოტენციური შესაძლებლობა კი არა, უკვე ნაშოვნი, დაგროვილი, დაპრესილი, დაბინავებული, დაბალზამებული, ოქროდ და ბრილიანტად ქცეული ქონება იგულისხმება.

კაცს თუ ფულიანი სახელი აქვს, აღარაფერი მოეთხოვება: არც ტვინი, არც კაცობა, არც სინდისი, არც არაფერი! ფულიანი სახელი იმიტომა აქვს, რომ შენგან მოითხოვოს გონიერება და კაცობა, სინდისი და ნამუსი, ერთი სიტყვით, ადამიანისა და ადამიანობის სხვა უძრავ-მოძრავი სამკაულები. ამასთან ესენი შენგან სესხად კი არ მიაქვს, სამუდამო საკუთრებად უნდა დაიტოვოს, ფულიანი სახელის შესაკაზმავად, ისევ შენი თვალის ასახვევად, ყურისა და ტვინის მოსაჭრელად სჭირდება.

მადა აქვს — სკამიანად გადაგყლაპავს! თუ ჭკვიანად არ იქნები, შენს თანამდებობასაც ზედ მიაყოლებს!

მიმატება და გამრავლება! — აი, ფულიანი სახელის არსებობის გამართლებისა და გამაგრების მაგიური ფორმულა.

მიმატება-გამრავლებაში ფულიან სახელს ვერა, ვერ დაემჯობინებით!

თუმცა, მიმატებისა და გამრავლების გარდა, ხომ არსებობს გამოკლებაც, გაყოფაც? ამჯერად, თუ არ დამწარდებით, მოდით, გაყოფა გავიხსენოთ, ერთად ვიანგარიშოთ, რას მივიღებთ, თუ ფულიან სახელს ჯერ ფულზე გავყოფთ (რაკი ფული სახელზე გადაახურდავა), შემდეგ კი თვით სახელზე (რაკი სახელი ფულით შეიძინა).

რა მივიღეთ?

ნული მთელი, კაცის მეასედი!

ზაზა კაციაშვილი

ნახ. მ. მეძლიშვილისა



უსიტყვოდ



უსიტყვოდ

## განცხადება

მღვრიე მდინარეში ჭრელი კალმახები
ისე ციმციმებენ, როგორც ვარსკვლავები.
ჩანს, რომ დღეს თემიდას დაშლია სასწორი!..
(გაიგებოდა, ვინაა ასაწონი!)

რომ გაგიჩაღებიათ ბაქანალია,
დრო მოვა, მოგყვებათ ბადე ან გალია!
მეტს არას ვინატრებდი: თქვენივე სახე
ისე დაგენახათ, როგორც მე გნახეთ!

ფუჭი ოცნებაა ერთურთის ყურებაში,
სარკის ნამსხვრევებიც ყრია ყულაბაში.
მე კი თავს ვერ მივცემ მსგავსების უფლებას,
გთხოვთ სამსახურიდან გათავისუფლებას!

მირანგულ ავსაჯანიშვილი

# მელაკუდა

(იგავი)

შვილს გზა-კვალი გაუწალდოს! — მამა ცდილობს ყველა მუდამ -
ლექსის ფუნჯით დაგიხატავთ ერთ-ჩემს ნაცნობ მელაკუდას;
წამდაუწუმ ესხმის ფრთებს გუმანს მხვდის გულში ჩაჩრილს,
ამიტომაც მეტსახელად ეძახიან „უჩინმაჩინს“.

მაშინაც კი, წყალს რომ სძინავს, მელა შავბნელ საქმეს ჩარხავს,
ხარჯვით მარტო ხურდას ხარჯავს, ქალაღდის ფულს სადღაც მარხავს.
დიახ, სხვების შესახედად, ქურდი ისე ხაწყლად ცხოვრობს,
სახლმმართველი დათუნია ურემონტებს „პაწა სოროს“.

ერთში შეცდა მელაკუდა: შეიძინა შავი „ვოლგა“!
ღვიძილში ხომ შიშით ქრება, საცოდავი ძილშიც ბორგავს!..
შვილი: „სახლს ხომ არ უიდულობ?! მაჩუქე, რა, შენი ავტო!
ვისაც ვიცნობ, საჭეს უზის, მე დავბობღავ ფეხით მარტო!“

მამა: „შვი-შვი-შვილი ხარ და, ბოლმას გულში მიტომ ვმარხავ,
თორემ, ისე თავხედი ხარ, ჭა-ჭა-ჭამის ღირსიც არ ხარ!
ა-ა-ავტოს რა პირით მთხოვ?! ორჯერ ჩარჩი მეცხრე კლასში!“
შვილი: „გუშინ სასწაული მოვახდინე ბირთვის კვრაში.

ახლა, სპორტსმენს, ატესტატი, მქონდეს თუნდაც ცუდზე ცუდი,
კარს გამიღებს სიხარულით რომელიმე ინსტიტუტი.
ისე, ვფიცავ, რექტორის „ჰოს“ ვამჯობინებ ბევრად „არას“,
უდიპლომოც დიდებულად მოვიპარავ მოსაპარავს!“

მამა: „ვი-ვი-ვისგან დაგყვა თავი მჩატე, როგორც ბურთი,
მითხარ, ჩემს შვილს, რატომ უნდა გერქვას ქა-ქა-ქათმის ქურდი?!
რომელიმე ინსტიტუტი რას მიქვია!.. შევძრავ ქალაქს
და ჩაგაცმევ, ძალადექიმს, ფუ-ფუ-ფულის საჭრელ ხალათს“.

შვილი: „მამა, მე ვერ შევძლებ, ხნეულს ფული გამოვძალო,
ამ დიდ სირცხვილს ბევრად მიჯობს, გავხდე ქვეყნის სამოწყალო!
მამი! ჩემო ტკბილო, თბილო, ფულიანო, საზრიანო,
ხომ გიყვარვარ! გთხოვ, ინჟინრის დიპლომის მადლს მაზიარო!“

მამა: „მაშინ შეცდომისთვის ჩაგქოლავენ კე-კე-კეტით!
ექიმს, კაცი რომც მოგიკვდეს, სი-სიტყვასაც არვინ გეტყვის!“
შვილი: „შენი ვაჟკაცობით ინჟინრის ფრთებს გზებზე გავშლი,
ლერბიან ქუდს დავიხურავ, ვიცურავებ ფულის ზღვაში!“

მამას შვებით მიებნიდა თვალნი — ფერი მკვახე მოცვის
და წაიღო სიომ მინდვრად ნაცნობი ხმა ორმხრივ კოცნის.

* * *

ახლა, როცა მზიან მიზნებს თითეულ დღეს ვუდგამთ ძეგლად,
როგორა მწყინს, ეს იგავი ბევრს რომ ხვდება გულზე ეკლად!

ქიშვარდ ისაკაძე

მარიკა გველესიანი
ავთანდილ კდეიშვილი

# ლიმონათის ჯო



როდესაც პირველყოფილმა ადამიანმა წყალი აღმოაჩინა, იყვირა: ამ წყალს სიტკბო აკლიაო! — ხილიდან წვენი გამოწურა და წყალში შეურია... ასე გამოიგონეს ლიმონათი!

მერე, როცა ადამიანმა ჭარხლისა და ლერწმის გამოშაქვრა დაიწყო, ლიმონათში ხილის წვენი შემცირდა, რადგან შაქარმა იმატა, ხოლო ხილეულისა და ბოსტნეულის სახელები, როგორც მემორიალი, ისე გაუკვდავდა ლიმონათის ბოთლის ეტიკეტზე.

ახლა, საიდუმლო წყაროებიდან ირკვევა, რომ „ტარხუნის“, „პიტნის“ და სხვა სასმელების გვერდით, ფართო ასორტიმენტით გადაისხმებ-გადმოისხმება შემდეგი ტკბილი წყლები: „ბოლოკი“, „წიწაკა“, „ბადრიჯანი“, „ქორფა ტყემალი“, „ხახვი“, „პრასი“ და „ნივრის ნაყენი“.

როდესაც თბილისური ლიმონათი დაიბადა, მას არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია, იყო ტკბილი, ნუგბარი და განთქმული, მაგრამ, რატომღაც, ამ ბოლო დროს, „თბილხილწყლების“ ქარხნები სასმელებს აფუფუნებენ, არ ტვირთავენ „ზედმეტი“ სიტკბოთი, უმსუბუქებენ არომატს, ახდენენ განგაზიანებას და შიგ ისეთ ელემენტებს ანაცვლებენ, რომელიც ჯერ აამღვრევს და ბოლოს გაარძიანებს მას. ლიმონათის რძედ გარდაქმნაზე თვით ქრისტესაც არ უფიქრია, ტკბილი წყლის ქარხნები და სავაჭრო ობიექტები ამ ფანტასტიკას რეალობად აქცევენ და ურცხვად ჰყიდიან ათ-თოთხმეტ „ზეკაპიკებში“ (რაც ხმარდება ლიმონათის ბოთლების მიტან-მოტანის ანაზღაურების დაუკანონებელ-დაკანონებულ ხარჯებს.)

ამბობენ, საქართველოში ლიმონათის წარმოება თბილისიდან დაიწყესო, მერე რაიონები გატკბილწყლიანდნენ და ისე აითვისეს ტკბილი წყლის ტექნოლოგია, რომ მალე თბილისის ხილეულის წყლების ქარხნის სპეციალისტები ტექნოლოგიური პროცესებისა და ქიმიური შემადგენლობის შესასწავლად წავლენ კასპის, ახალქალაქისა და თელავის ლიმონათის ქარხნებში. კასპელებო, ახალქალაქელებო და თელაველებო! თქვენი გამოშვებული ლიმონათით ნამეტანს ნუ გაყოყოჩდებით, ჩვენ შედარებით გაღმერთებთ, თორემ არც თქვენ ასხამთ ლაღიძის წყლის მსგავს ლიმონათს! ხომ გაგიგონიათ, „ვაზის სიყვარულით ღობეს ეფერებოდნენო“.

ლაღიძის წყალმა ერთი რამ გვაფიქრებინა, თუკი „კოკა—კოლა“ ამერიკიდან ანტარქტიდაზე მიაქვთ, რა გახდა ეს ლაღიძის წყალი მარტო რუსთაველის პროსპექტზე რომ იყიდება? პლეხანოველებს, ჭავჭავაძის, ან წერეთლის პროსპექტელებს პირისგემო არა აქვთ?!

აგერ, ზაფხული მოვარდა, სიცხითა და ბუღით, დაერია თბილისელებს და ლიმონათი თუ გაუგრილებს მათ ოხშივარადენილ გულ-მკერდს.

აბა, ტკბილი წყლის ალქიმიკოსებო! მალე გამოგეცხადებათ ლიმონათის ჯო და რას დაალევინებთ, იმასაც ვნახავთ!!



# ულტრარობოტი

მეოცე საუკუნის დასასრულს ასეთ ფრაზებს შემოიტანენ: ამ კაცს პირიდან АИ—76 მარკის ბენზინის სუნი ამოსდისო, АИ 93-ით გამტყვრალაო, ან, კიდევ, რუსთაველზე, შოთას ძეგლთან დამდგარა და „იკაროსის“ დამწვარი „სალიარკით“ გამობრუჟულა და სახლში ისე მისულაო. როგორც სტატისტიკოსები გვპირდებიან, სულ მოკლე ხანში ცოლის წუხილი ქმრებს მირაჟივით წარმოესახებათ: — ისევ გასკდი გმირთა მოედნის ბენზინის ნარჩენებით? აღარც შენი თავი გეცოდება და არც ჩვენ გებრალებით, ლამის არის შენი სუნთქვით ქოთნის ყვავილები გადახმეს. ხომ გაფრთხილებდი, რუსთაველზე, პლეხანოვზე, გმირთა მოედანზე ისეთ დროს მაინც გადი, როცა მანქანების ნაკლები მოძრაობაა, თუმცა კი მანქანები მუდამჟამს ერთმანეთზე ახუნძლული დადიან. საკითხავია, ეს ხალხი სამუშაო საათებს მანქანებში ატარებენ, თუ დაწესებულებებში? ნუთუ არავინ დაინტერესებულა ამით?

ღმერთო შეგცოდე და ასე გამოდის! თბილისელები სამსახურის დროის ნახევარზე მეტს საკუთარ მანქანებში ატარებენ. თუ ასე არ არის, აბა, მაშ, ვინ არიან ისინი, ვინც არალიმიტირებულ გამონაბოლქვს ტოვებენ თბილისის ქუჩებში, ის არ გვეყოფა „იკაროსები“ და „ლაზები“ რომ ხრჩოლავენ ჩვენს გასაგუდათ?!

მალე ცხვირიდან სისხლის დენა კი არ დაგვემართება, არამედ ბენზინის დენა, სისხლში ლეიკოციტების რაოდენობით კი არ განისაზღვრება ადამიანის ჯანმრთელობა, არამედ ეთილისა და ბენზოლის რაოდენობით. დიახაც, რომ ასე იქნება, აბა, რაღაც შხამების გულისათვის ადამიანი უარს კი არ იტყვის ამქვეყნიურ სიამოვნებაზე.

თბილისელებმა ავტომანქანის გამონაბოლქვის ადაპტაცია თუ შესძლეს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ გულის მაგივრად ადამიანს მინიატურულ შიგაწვის ძრავს დაუყენებენ, ფილტვების ნაცვლად ფილტრებს, ხოლო, ვისაც დიდი ოჯახი აწევს კისერზე, მას საგულეში დიზელის ძრავას დაუმონტაჟებენ! ფეხები შეიცვლება „ჟიგულის“ ან „მერსედესის“ საბურავებით და ნელ-ნელა მოხდება ადამიანის ულტრაგარობოტება, ანუ მეტამორფოზა. იქნებ ულტრარობოტები ვართ და აზრზე ვერ მოვდივართ, რომ წელზევით ავტომანქანა გვაქვს და წელქვევით ადამიანის ტანი. არა, იქნება შეცდომაა, იქნება მცდარი აზრია, მაგრამ ფაქტი ფაქტია, ლამის არის ულტრარობოტებს დავემსგავსოთ ამ ავტომანქანების წყალობით.

# ავტობუსი

*(ნაწყვეტი რომანიდან)*

...ᲐᲚᲛᲣᲠᲘ ასდის დედამიწას. ხვატი ოფლად ადნობს კაციშვილებს. გზატკეცილის ასფალტი დუღს და ფერი არა აქვს ისეთი და, ალბათ, გემოც, თორემ ისე მთლად ცხელი ღომივით არის გადაქცეული.

მტვრიანი და თითვერმიუკარებლად გახურებული დანჯღრეული ავტობუსი, გაოგნებული და პირდაბჩენილი მგზავრებით გამოტენილი, მიბობღავს და მიყანყალებს ზაფხულის გვალვით გადაყვითლებულ მინდვრებსა და ბორცვებს შორის დაკლაკნილ გაუთავებელ გზაზე. მის კვალზე დიდხანს დგას უმოძრაო ჰაერში სქელი, გაუვალი მტვრის ბული.

მიბობღავს ავტობუსი და გაჩერდება სადმე გზისკენ გადმოშვერილტოტიან მარტოხელა ცაცხვის დანახვაზე. გადმოსვამს ყალიონიან, ხვეულებაატეხილ ბერიკაცს, ჯიბეებიან ტილოსხალათიან, იღლიაში გაზეთებამოჩრილ ახალგაზრდას და აკრიფავს კალათებიან, თავსაფრებიან დედაკაცებს, ცხვირში თითგაჩრილი და თმაგაბურძგნილი ბავშვებითურთ.

ათუხთუხდება, აძაგძაგდება, გამოყრის მწარე და მყრალ კვამლს და აბობღდება ისევ. დაკერებული საბურავების ფართხუნით გაძუნძულდება ორიოდე კილომეტრს და მიეყუდება ისევ გზისპირა კოდმეს, გორ-მინდვრების სიღრმიდან გზატკეცილს შეპოერთებული ოღროჩოღრო შარის ხატრით. გადმოსვამს ჩითის შემოტკეცილკაბიან, ქოშებიან, მძიმესაყურეებიან გოგონას და ახალაწკვირტინებულ ულვაშიან ბიჭს და ჩაისვამს პორტფელიან, შავშალისშარვლიან, ღიპიან კაცს (ამ კაცს ორი ცხვირსახოცი მაინც ექნება).

ისევ აძუნძულდება და აჭრიალდება ავტობუსი — თანამედროვე ურემი. შემდეგ გაჩერებაზე, მტვრით დაფარულ ხეხილიანი და გადახრუკულბოსტნებიანი სოფლის მისადგომთან არავინ ჩავა, შვებულებაში მყოფი უქუდო ჯარისკაცი და მისი წვერგაუპარსავი, აწოწილი ძმაკაცი ამოვლენ ბანცალით, — არყის სუნი ემატება ისედაც დამძიმებულ და აუტანლად გახურებულ ჰაერს.

მიდის, მიჯანჯღარებს, მიიზლაზნება ავტობუსი, ოხშივარადენილი, ოფლში გალვრილი, პირდაბჩენილი კაციშვილებით სავსე... რამ გადარია ეს ხალხი?! რამ აალოლიალა ამ გაგანია სიცხეში?! საიდან მოდიხართ! სად მიდიხართ?! რატომ არ მიდიხართ დასასვენებლად?!

*ᲗᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ*



— ყარაულად კი ხარ გაფორმებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურზე ეძინოს და თემა არ დაამუშაო!

## ნაკვესები

● **ᲘᲡᲔᲗᲘ** სიმაღლე უნდა აირჩიო, რომ სხვას თავზე არ გადააბიჯო.

● **ᲣᲗᲐᲕᲝᲓ** დაწყებული საქმე თავსატეხია.

● **ᲑᲠᲐᲙᲝᲜᲘᲔᲠᲛᲐ** შველს დაუმიზნა და... ციხეში მოხვდა.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲣᲚᲔᲜᲢᲘ

## ძალა სიყვარულისა

**ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ** საღამო იყო. ხეივნის ერთ მიყრუებულ ადგილას, მოგრძო ქვაზე, ახალგაზრდა წყვილი ჩამომჯდარიყო და ჩურჩულით საუბრობდა.

— ვაჟა, ნუთუ მეტი ალარათფერი გაქვს სათქმელი?

— როგორ არა, მაგრამ, იქნებ, სხვა დროისათვის გადავდოთ?

— ან დღეს, ან არასდროს! — ულტიმატუმი წამოაყენა გოგომ.

— დღეისათვის ნამეტანი არ იქნება?

— არა! — თავი გადააქნია გოგომ.

— ნელი, მე შენ ძალიან მიყვარხარ! — თავი ვერ შეიკავა ბიჭმა.

— ?!

— შენი გულისთვის მე...

— ეგ მერე, ვაჟა! ახლა კი... — მორცხვად დახარა თავი გოგომ.

— მაშ, შენსას მაინც არ იშლი? — შეიშმუშნა ბიჭი.

— სხვა გზა არა მაქვს!

— კარგი, რაც არის არის, ისე იყოს, როგორც შენ გინდა! — თქვა ბიჭმა და ქვაზე ჩამოდებული უმაღლესი მათემატიკის წიგნი გადაშალა, — უსასრულოდ მცირე ეწოდება სიდიდეს, რომლის ზღვარი ნულის ტოლია; უსასრულოდ დიდი სიდიდე კი...

იგი დიდხანს კითხულობდა უსასრულოდ მცირე და დიდ სიდიდეებზე. შემდეგ კი წარმოებულებსა და ინტეგრალებზე გადავიდა. ბოლოს ფურიეს მწკრივები რომ ჩამოლია, გოგოს მწყრალად შეხედა:

— კიდევ გავაგრძელო?

— კიდევ, კიდევ! — მთვლემარე თვალებით ანიშნებდა გოგო.

ბიჭი ახლა ლაგრანჟის განტოლებებს გადაწყვდა. შემდეგ ევკლიდეს სამგანზომილებიანი სივრცე ანალიზურად გამოსახა. ხოლო რაც შეეხება კომპლექსურ ცვლადებს, სულ ბულვარი ადინა...

მეორე დღეს ვაჟამ გამოცდა უმაღლეს მათემატიკაში ფრიადზე ჩააბარა.

აი, რა ძალა აქვს სიყვარულს!

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲪᲝᲢᲐᲫᲔ

## „ნიანგის" ფოტოვერნისაჟი

**ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ** ყურადღება ამჯერად ფერწერული მხატვრობის იმ უზადო ნიმუშებმა მიიპყრო, რომლებიც მრავლადაა გამოფენილი ჩვენს დედაქალაქსა და მის გარეუბნებში.

დააკვირდით პირველ ფოტოს. **„დაუმალეთ ბავშვებს ასანთი!"** — ეს ნახატი ჩაიკოვსკისა და ძერჟინსკის ქუჩების კუთხეშია გამოფენილი.

თქვენი ყურადღება, ალბათ, ამ შედევრის წინ დადგმულმა საგზაო ნიშანმა მიიპყრო — **შეჩერებაც კი აკრძალულია** (ავტოინსპექციის მუშაკებთან სადავო არაფერი გვაქვს).

მოგეხსენებათ, რომ ფერწერულ ძეგლებზე ნადირობა ყველა ეპოქაში იყო. ასეთი საგზაო ნიშნით კი ავტორები თავიდან აიცილებენ მათ ნახატთან შეჩერების, და აქედან გამომდინარე, — მისი მოტაცების საშიშროებას. რაც შეეხება დანარჩენ ტილოებს (ანუ ფანერებს), იმედია, წინდახედული ავტორები, არამცთუ საგზაო ნიშნებს, არამედ შეიარაღებულ დაცვას დააყენებენ, რათა მათ შედევრებს ახლოს არავინ გაეკაროს, რა იცით, ხალხი ჭრელია...

რედაქცია კი თვლის, რომ ეს მეტად დროული ღონისძიება იქნება „გამოფენის" დამთვალიერებელთა განწირული გემოვნების გადასარჩენად.

თ. ჭ.



ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. ვ. კუციასი



ნახ. ვ. მესხისა



— ხომ ვერ გვეტყვით, ის ეკლესია რა ხნისაა?
— თუ სიძველის ძეგლები გაინტერესებთ, გვერდითა მშენებლობა უფრო ადრინდელია.




**კიროვის** სახელობის საკოლმეურნეო ბაზრის სახაიეში ჩაის დაყენების ტექნოლოგიასა და მის ხარისხს კი არა აქვს მნიშვნელობა, აქ მთავარია რეალიზაცია და ჭიქა ჩაის ღირებულება. ფერიანი თუ უფერო, ცხელი თუ ცივი,— ამასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! გვწერდნენ მომხმარებლები. რედაქციაში შემოსული წერილი თბილისის მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა, საიდანაც გვიპასუხეს: „...**კიროვის რაისაზკვების ტრესტის 1977 წლის 11 თებერვლის № 38 ბრძანებით ჩაის გამყიდველი როზა მიხეილის ასული ხაჩატურიანი მომხმარებლიდან 10 კაპ. ზედმეტად აღებისათვის განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო გაერთიანების გამგე შ. ირემაშვილი მკაცრად იქნა გაფრთხილებული, რათა დაამყაროს სრული წესრიგი, გააძლიეროს კონტროლი**“.

* * *

**ქ. გორში**, წმინდა წყლის საცხოვრებელ კვარტალში, წყალი იყო ამღვრეული. რედაქციამ მიმდინარე წლის ჟურნალ №2-ში გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი რუბრიკით — „ეთერშია ხარიახი“. გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გვიპასუხა: „...**წმინდა წყლის დასახლება მთლიანად კეთილმოწყობილია. ამჟამად მიმდინარეობს დასახლების დეტალური გეგმირების პროექტირება, რომლის საფუძველზეც უახლოეს მომავალში დაიწყება კეთილმოწყობის სამუშაოები**“.

* * *

**„სამწვადემ“** შეგვაწუხა, აქაურობა გადააქცია ღრეობის ადგილად. — იწერებოდნენ თემქის დასახლების მესამე მიკრორაიონის IV კვარტალის 57-ე კორპუსის მცხოვრებნი. რედაქციამ მიმდინარე წლის ჟურნალ №6-ში გამოაქვეყნა კრიტიკულ-მამხილებელი წერილი სათაურით — „მიკროსამწვადე მიკრორაიონში“. თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა ამის შესახებ გვიპასუხა: „...**თემქის დასახლების მე-3 მიკრორაიონის IV კვარტალის №58 კორპუსის წინ მდებარე სამწვადე აღებული იქნება მიმდინარე წლის II კვარტალში**“.

* * *

**ბოლნისიდან** გვატყობინებდნენ, რომ ბოლნისი — წითელსოფლის გზაზე, მდინარე მაშავერაზე გადებული ხიდი ავარიულია და სოფელ წითელსოფელში არ არის მედპუნქტი. რედაქციამ გასული წლის მე-12 ნომერში დაბეჭდა კრიტიკული წერილი რუბრიკით — „ნიანგის ლოკატორი“. ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომმა გვიპასუხა: „...**რაიაღმასკომის საგზაო-საწარმოო უბანმა მდინარე მაშავერაზე ხიდის მშენებლობა უკვე დაიწყო, მისი ექსპლოატაციაში შეყვანა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის IV კვარტალში. წითელსოფლის მედპუნქტი კი ავარიული შენობიდან დროებით გადატანილია სხვა შენობაში**“.

ჟანი სიხარულიძე



## ნიანგის

### არ წაუკითხოთ პატარებს

ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი, და,
ძველი მჭამელ-მყლაპელი
გა-ვი-და!..

* * *

ნაირ-ნაირები,
ოქრო — თავსაყრელი,
ბინებ-მანქანები,
სოფლად სასახლენი!
ხუთი ტელეფონი,
ზღვაზე — აგარაკი...
ჩასვეს ვაჟბატონი!
შეწყდეს ლაპარაკი!

ვაჟა ჩორდელი

* * *

ნირსაც იცვლის, სულსაც იცვლის,
კარგზე ცუდსაც მრავლად
იტყვის!..
მიკვირს, მიწა მის ფეხებქვეშ
რად არ იწვის?!

ოლია ჯანჯღავა

### ზღაპარ იყო...

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო:
მამა აღარ დამთვრალიყო,
შინ დაბრუნდა, გვეალერსა
და მოწყენა აღარ იყო!

ბებო ღიმილს ვერ ფარავდა,
დედაც გახარებულიყო,
მეზობლები შეგვყურებდნენ,
ყველა გაკვირვებულიყო!..
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო!

ოთარ მოდებაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისმინე, ბავშვის მშობელო!

**დღეისათვის** ძნელია იმის დადგენა, თუ რა ახდენს მოსწავლის აღზრდაზე ძირითად ზეგავლენას — სახლი თუ სკოლა. ეს ქათმისა და კვერცხის გაჩენის ძველისძველ ამბავს წააგავს, რაზედაც უამრავი დისერტაცია დაწერილა, მაგრამ ჭეშმარიტება დღემდე მაინც არ დადგენილა. რახან დიდაქტიკურ თემაზე დაწერილი ჩვენი ეს წერილი მოსწავლეთა „გარეგნულ სახეს" შეეხება, მოდით, სახლიდან დავიწყოთ:

თქვენ გყავთ ვაჟი, რომელიც 16 წლისაა, მეცხრე კლასშია და ბოლო დროს რაღაც



„აურია": ცუდი ნიშნები მოაქვს, ან კვირიდან კვირამდე ცარიელია მისი დღიური. რა თქმა უნდა, ნერვიულობთ, ათასგვარი ეჭვი გებადებათ, საგონებელში გაგდებთ მისი ხშირ-ხშირი ვიზიტი კარის მეზობელ ვახტანგთან, ხანდახან გვიან ღამემდე რომ გრძელდება. კეთილი და პატიოსანი! ახლა ამ კითხვაზე გამეცით პასუხი: შეიძინეთ თუ არა თქვენი ვაჟისთვის უცხოური ფირმის მაგნიტოფონი? არა, ხომ?! ასეც ვიცოდი. კარის მეზობელ ბიჭს ვახტანგს კი „ფილიპსის" სტერეოფონური მაგნიტოფონი უდგას, გამაძლიერებლებითა და ოთხი დინამიკით. რითი დაიარება თქვენი ბიჭი სკოლაში? ფორმის შარვლით, რომელიც მერვე კლასში უყიდეთ და ახლა კოჭებამდე წვდება, ვახტანგი კი „ვრანგლერის" ფირმის ჯინსებით იწონებს თავს. ვახტანგის მამა შაბათ-კვირას საკუთარ „ჟიგულს" ათხოვებს ხოლმე ვაჟიშვილს კულტურული დასვენებისათვის. აბა, თქვენ კი არა გგავთ! როცა თქვენი ბიჭი სკოლიდან ბრუნდება, სახლში სიგარეტის სუნი ტრიალებს ხოლმე, ოჯახის წევრებიდან კი არავინ ეწევა. მაშასადამე, თქვენს ვაჟს „უცულუტია". აძლევთ მას ყოველ დილით „ჟუვაჩკის" ფულს სკოლაში წასვლის წინ? არა, ხომ?! მაშ, საიდან შოულობს სიგარეტის შესაძენ თანხას? გიფიქრიათ იმაზე, რომ თქვენმა „ცხვარივით" ბავშვმა მოხუცი პენსიონერი გაძარცვა, ან ინკასატორს დაუხვდა ღამით ბნელ მოსახვევში, რათა „საცოდავს" სიგარეტის ფული ეშოვნა? თქვენ ხელებს ასავსავებთ და ამბობთ, რომ თქვენი ბავშვი ამას არასდროს ჩაიდენს. მაშ, იცოდეთ, თუ ჯერ არ ჩაუდენია, მომავალში ჩაიდენს! ამიტომ გირჩევთ, დილ-დილობით შეუმჩნევლად ჩაუდოთ ხოლმე ჯიბეში „მზიურის" ფული („კოლხეთს", ეგ კი არა, ჩვენ ვერ ვშოულობთ!), თქვენც მშვიდად იქნებით და ბავშვსაც ააცდენთ არასწორი გზით სიგარეტის ფულის მოპოვების გზას!

ახლა კი დავუშვათ, რომ გყავთ ქალიშვილი. ისიც თექვსმეტი წლისაა და მეცხრე კლასში სწავლობს. ბოლო დროს გოგონა გახდა, ფერი დაკარგა, გულჩათხრობილია, სახელმძღვანელოებისკენ გახედვაც კი არ სურს. ამას, გოგონაზე ფიქრში, თქვენს მიერ გატეხილი უძილო ღამეები მოჰყვა. როგორ არ ეცადეთ, მაგრამ ქალიშვილის დადარდიანების მიზეზს კი ვერ მიაგენით. აბა, გაიხსენეთ, როდის გთხოვათ თქვენმა გოგონამ უკანასკნელად „სლაქსების" ფული. ამ ერთი თვის წინათ? იმის მაგივრად, რომ მიწა გაგეხეთქათ და ბავშვისათვის სანუკვარი „სლაქსები" გეშოვათ, მთელი ოჯახი დაესიეთ და კინაღამ შეჭამეთ „საცოდავი"! შედეგზე კი არ გიფიქრიათ. სწორედ ეს იყო მიზეზი ნორჩი, ფაქიზი ბუნების (ანუ დაუწერელი დაფის) დეგრადაციის გზაზე დადგომისა. რა თქმა უნდა, მიპასუხებთ, რომ (თქვენი არახატოვანი გამოთქმით) ის რაღაც დასაწვავი „სლაქსების" ფული თქვენი ერთი თვის ხელფასს უდრის და მოიშველიებთ (თქვენდა არა-



სასახელოდ) საკმაოდ მოცვეთილ, დრომოჭმულ გამოთქმას: „ბოლოს და ბოლოს, ერთი შარვლის გულისათვის ქრთამს ხომ არ ავიღებთ, ან მშიერი ხომ არ დავჯდებით?" — დიდი რამე, თუ ღვიძლი შვილის გულისათვის რაღაც ერთი თვე ცარიელ პურსა და წყალზე გადახვალთ!

დედებო და მამებო! გაახილეთ [illegible] დაინახეთ, რა ხდება ევროპაში! იხოვებს მაინც აღარ უყურებთ, თქვე დალოცვილებო?! ჩართეთ ტელევიზორები და დააკვირდით, როგორი შეღებილი წამწამებითა და მოდაზე დაყენებულივარცხნილობით დადიან ეს დათქვირებულ-დაკურატებული 14-15 წლის გოგონები უცხოეთის სკოლებში. ბავშვს ახლა უხარია ცხოვრება, ჩაცმა-დახურვა! გაიქეცით სპეკუ-



ლანტთან, მეზობელ სადარბაზოში რომ ცხოვრობს, შეარჩიეთ თქვენი ქალიშვილის ზომა ჯინსები, დაესესხეთ მეზობელს, ან ნათესავს დამატებით კიდევ რაღაც ორასიოდე მანეთი, უყიდეთ იმავე სპეკულანტთან სანუკვარი „სლაქსები", იმპორტული მაისური, რაიმე ექსტრავაგანტური წარწერით ინგლისურ ენაზე... არ დაგავიწყდეთ, ჯინსები მუხლებსა და საჯდომზე აუცილებლად გადახეხილი უნდა იყოს. სადა აქვს მეცხრე კლასის ბავშვს იმის დრო, ახლა ჯინსები ხეხოს! ეგ ფუნქცია ბებიამ და ბაბუამ გაინაწილონ. ბავშვი კი ამ ძვირფას დროს ნაყოფიერად მოახმარს თრჩხილების დამუშავებას, ან წარბების ამოქნას. რაო, გაკვეთილებიო?! კეთილ ინებოს, ბატონო, მამიკომ, დროებით გვერდზე გადადოს დისერტაცია და ალგებრისა და გეომეტრიის ამოცანები გამოიყვანოს!

ვიმედოვნებთ, „დიდაქტიკურ თემაზე" დაწერილი ჩვენი ეს ფელეტონი უდიდეს სამსახურს გაუწევს მშობლებს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში!

**თამაზ ჭეიშვილი**

ნახ. ჭ. დეისაძისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა
Индекс 76187

ნახ. გ. ლომიძისა




**პენტაგონი** ამუშავებს ექვსი ტიპის ფრთოსან რაკეტას. სამხედრო-საზღვაო ძალები მიიღებენ 1.264 ასეთ რაკეტას, სამხედრო-საჰაერო ძალები კი — 2.357 მოქმედების სხვადასხვა რადიუსის ახალ რაკეტებს. გადასახადის გადამხდელ ამერიკელ ხალხს ეს დაახლოებით 5,1 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

## პენტაგონური არითმეტიკა

384
16.VI 77

## მხოლოდ ერთი დეტალი

**შვეციის** სამეფო სამხატვრო აკადემიამ კატეგორიულად მოსთხოვა მთავრობას, აკრძალოს სარეკლამო პლაკატი, რომელიც მიქელანჯელოს „სამყაროს შექმნის“ თავისებური რეპროდუქციაა.

რეკლამა, ასე რომ აალელვა ხელოვნების ქურუმნი, მხოლოდ ერთი „მცირე“ დეტალით განსხვავდება ორიგინალისაგან: თვით მამაზეციერისაგან შექმნილი დედიშობილა ადამი რეკლამაში ლურჯ ჯინსებშია გამოწყობილი.

## მცდარი დიაგნოზი

**გფრ-ის** მოხეტიალე ცირკის სიამაყეს — სპილო ზულეიკას — ამას წინებზე წამებით აღსავსე სიკვდილი ეწვია. რა არ იღონეს სპეციალისტებმა, — მთელი ერთი ლიტრა პენიცილინი შეუშხაპუნეს მოღვენთილ სხეულში, მაგრამ ვერავითარმა პრეპარატებმა და ვეტერინართა მცდელობამ ვეღარ გამოგლიჯა ზულეიკას სული ულმობელი სიკვდილის კლანჭებს. შემდეგ ექიმებმა დაასკვნეს, რომ თავიდანვე სწორი დიაგნოზი ვერ დასვეს: ზულეიკა კი არ გაცივდა, არამედ მოიწამლა. მწვრთნელებს ამ საბედისწერო მოვლენის შემდეგღა გაახსენდათ, რომ ვარჯიშისაგან გახურებულმა ზულეიკამ მდინარე ნეკერიდან მოტანილი სამი ვედრო წყლით გაიგრილა გული.

შტუტგარტის უნივერსიტეტში ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ მდინარე ისეა მოწამლული სამრეწველო მინარევებით, ისეა გაჯერებული ქიმიური შხამებით — სხვადასხვა სიმჟავეებითა და მომწამლავი ნივთიერებებით, რომ სპილოს კი არა, ცხრათავიან გველეშაპს გააფრთხობინებდა სულს!

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდათ თევზებსა და, საერთოდ, მდინარის ფლორასა თუ ფაუნას...

**ვაშინგტონის** ადმინისტრაცია ბევრს ლაპარაკობს სოციალისტურ ქვეყნებში „ადამიანის უფლებების დარღვევის“ შესახებ, ეს მაშინ, როცა სენატორი გოლდუოტერის საკუთარ ფირმაში — „ამამოტ არიზონა სიტრუს“ — უმწეო მექსიკელები ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ და მონურ შრომას ეწევიან.




— მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა ადამიანის უფლებების შელახვა!

მთავარი რედაქტორი **ზურლან გემაზაშვილი** სარედაქციო კოლეგია: **ზ. ბოლქვაძე** (მთ. რედ. მოადგილე), **ზ. კაციაშვილი**, **ჯ. ლოლუა**, **გ. ლომიძე**, **ნ. მალაზონია** (მხატვ. რედ.), **გ. ნიშნიანიძე**, **ზ. სიხარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **გ. ფირცხალავა**, **ო. ჭელიძე**. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 5/V-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VI-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 1597. უე 00719 ტირ. 141.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ჰ. დეისაძე, ვ. ქუცია, გ. ლომიძე, ვ. მეხი, მ. მელიქიშვილი.